სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლები და საგანმანათლებლო პოლიტიკის გავლენა (2013-2022 წლები)

ბიულეტენი მომზადებულია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ

12.12.2022

სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლები და საგანმანათლებლო პოლიტიკის გავლენა (2013-2022 წლები)

ბიულეტენში განხილულია სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლების დინამიკა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში.

განსაზღვრულია განათლების პოლიტიკა და რეფორმის ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობდა ან ხელს უშლიდა სწავლის შეწყვეტას არსებულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჭრილში.

მასალა მომზადდა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

ძირითადი მიგნებები

- მოსწავლეთა მიერ სტატუსის შეჩერებისა და სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი შემცირებულია 2013-2022 წლების ჭრილში; ამასთანავე, ეს მაჩვენებელი გაზრდილია 2021-2022 აკადემიურ წელს წინა აკადემიურ წელთან შედარებით.
- სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი შემცირებულია ბოლო წლების დინამიკაში ძირითადად საშუალო საფეხურის მოსწავლეებში სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლის შემცირების ხარჯზე, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია საატესტატო გამოცდების გაუქმებით.
- 2013-2022 წლების დინამიკაში, გაზრდილია სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი დაწყებით საფეხურზე არა მხოლოდ საფეხურებრივ ჭრილში, არამედ რაოდენობრივი თვალსაზრისითაც.
- სწავლის შეწყვეტის გაზრდილი მონაცემების მთავარი მიზეზი 2021-2022 აკადემიურ წელს საზღვარგარეთ ოჯახთან ერთად გამგზავრებაა (2020-2021 აკადემიური წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით).
- მიუხედავად საშუალო საფეხურის ინტეგრირებული პროგრამების ამუშავებისა 2020 წლიდან და მისი ინტენსიფიკაციისა 2021 და 2022 წლებში, მკვეთრი ზრდა სკოლიდან პროფესიულ სასწავლებლებში გადასვლის თვალსაზრისით არ ფიქსირდება.
- საშუალო სკოლის დასრულების და შესაბამისად სწავლის შეწყვეტისა და სკოლის ვერ დასრულების მაჩვენებელი განპირობებულია მოსწავლის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, მისი ტერიტორიული და გეოგრაფიული განსახლებით, ეთნიკური წარმომავლობით.

მოსწავლეთა რაოდენობა და სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლები 2013-2021 წლები

სწავლის მიტოვების მაჩვენებლის მიხედვით დინამიკა ცხრაწლიან ჭრილში კლებადია. 2013-2014 წელს სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი 14057 მოსწავლეს შეადგენდა. ამ მაჩვენებლის კლება თვალსაჩინოდ დაიწყო 2019 წლიდან, თუმცა, უკანასკნელ წელს სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელმა მკვეთრად მოიმატა წინა აკადემიურ წელთან შედარებით.



*გრაფიკი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

მეათეკლასელთა სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლები 2013-2021 წლებში

სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლის მაღალი ხვედრითი წილი მოდის მეათე კლასელთა სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელზე. ეს ორი გარემოებით იხსნება:

- (ა) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საშუალო საფეხური (10-12 კლასი) არ არის სავალდებულო;
- (ბ) საბაზო საფეხურის დასრულების შემდგომ მოსწავლეთა ნაწილი სწავლას აგრძელებს პროფესიულ სასწავლებლებში.



ცხრაწლიან ჭრილში მეათეკლასელთა ხვედრითმა წილმა სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლებში მკვეთრად იკლო.

*გრაფიკი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლები განათლების საფეხურების მიხედვით

ცხრაწლიან ჭრილში გაზრდილია სწავლის შეწყვეტის ხვედრითი წილი დაწყებით და საბაზო საფეხურებზე. განსაკუთრებით მაღალია დაწყებითი საფეხურის ხვედრითი წილის ზრდა და 12,5%-იდან გაზრდილია 34,9%-მდე.



*გრაფიკი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი და საგანმანათლებლო პოლიტიკა

- საშუალო საფეხურზე სწავლის შეწყვეტის რაოდენობის მკვეთრი შემცირება თვალსაჩინოა 2019-2020 აკადემიური წლიდან. თუ საშუალო საფეხურის მოსწავლეებში სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი 10087 მოსწავლე იყო 2013-2014 აკადემიურ წელს, ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4787-ი იყო 2019-2020 აკადემიური წლისთვის. მკვეთრი შემცირება თვალსაჩინოა არა მხოლოდ ზოგადად საშუალო საფეხურისთვის არამედ კონკრეტულად მეათეკლასელებშიც.

- სავარაუდოდ, მკვეთრი ცვლილება უკავშირდება საატესტატო გამოცდების გაუქმებას 2018 წელს. საატესტატო გამოცდების გაუქმების კვალდაკვალ, როგორც ჩანს, ნაკლები მოსწავლე წყვეტს სწავლას ან სკოლები ნაკლებად ცდილობენ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთაგან განთავისუფლებას საატესტატო გამოცდებში უკეთესი სასკოლო შედეგების ჩვენების მიზნით.

- თვალსაჩინოა, რომ კონკრეტულმა საგანმანათლებლო პოლიტიკამ, საატესტატო გამოცდების გაუქმებამ, რომელიც დაკავშირებული იყო სასკოლო ატესტატის მიღებასთან, შეამცირა სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი საშუალო საფეხურზე.

სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი და საგანმანათლებლო პოლიტიკა

- 2020 წლიდან ჩამოყალიბდა სტრუქტურული და შინაარსობრივი კავშირები პროფესიულ განათლებასა და განათლების სხვა დონეებს შორის: განხორციელდა პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირების პროცესი.

- ინტეგრირებული საშუალო პროფესიული განათლების პროგრამები გაფართოვდა 2021 და 2022 წელს. რამდენად გამოწვევს ეს პოლიტიკა პროფესიულ სასწავლებლებში მოსწავლეთა მოზიდვას და ზოგად განათლებაში სწავლის შეწყვეტის მაჩვენებლის ზრდას - ჯერჯერობით გამოკვეთილი არ არის. გარკვეული ზრდა რაოდენობაში ჩანს, თუმცა ხვედრითი წილი მეცხრეკლასელ კურსდამთავრებულთა საერთო არჩევანზე არა.

- შესაბამისად, თვალსაჩინოა, რომ იდეურად სწორი რეფორმა, პრაქტიკაში თვალსაჩინო შედეგებს ჯერჯერობით არ იძლევა.

15-17 წლის მოსწავლეთა რიცხოვნება პროფესიულ სასწავლებლებში

- ბოლო წლების მონაცემებით, პროფესიულ სასწავლებლებში 15-17 წლის მოსწავლეების/სტუდენტების კლება ფიქსირდება. მხოლოდ 2016-2017 წლებშია ზრდის დინამიკა. შესაძლებელია საატესტატო გამოცდების გაუქმებამ პროფესიულ განათლებაში გადამსვლელთა რაოდენობაც შეამცირა.
- ამ თვალსაზრისით, 2013 წელს მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. აქაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2011 წელს შემოღებული საატესტატო გამოცდების და მის შედეგებზე დაფუძნებით, სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის დაყენების პოლიტიკამ განაპირობა სკოლებიდან მოსწავლეთა მაქსიმალური გადინება და პროფესიული სასწავლებლებში მათი გადასვლა. ამ პოლიტიკის შერბილების კვალდაკვალ პროფესიულ სასწავლებლებში 15-17 წლის სტუდენტთა რაოდენობა მცირდება და მე-10 - მე-12 კლასების მოსწავლეთა რაოდენობა და ხვედრითი წილი იზრდება, მათ შორის იკლებს სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელიც საშუალო სკოლის საფეხურზე.



*გრაფიკი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის მიზეზები

- 2020-2021 და 2021-2022 აკადემიურ წლებს შორის სწავლის შეწყვეტის გამომწვევ მიზეზებში მკვეთრი სხვაობაა: მნიშვნელოვნად მატულობს მიზეზი - საზღვარგარეთ ოჯახის გამგზავრება.
- აგრეთვე გაზრდილია მშობლების მიერ დაწერილი განცხადების მიზეზით სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი 2021-2022 წელს წინა აკადემიურ წელთან შედარებით.



გრაფიკი აღებულია სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშიდან „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (გვ.265)

საშუალო სკოლის დასრულების მაჩვენებელი

- სრული ზოგადი განათლების მიღება და სკოლის დასრულება გამოწვევაა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის, ტერიტორიული და გეოგრაფიული განსახლების ტიპის, ეთნიკური წარმომავლობიდან გამომდინარე. საშუალო საფეხურის დასრულების მაჩვენებელი შეადგენს 88%-ს მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების მოსწავლეებისთვის და მხოლოდ 43%-ია დაბალი სოციალურ ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან გამოსული მოსწავლეებისთვის. ეს მაჩვენებელი 74%-ია საქალაქო დასახლებებში და მხოლოდ 50%-სასოფლო განსახლებებში, 69%-ია ეთნიკურ ქართველებში და მხოლოდ 33%-აზერბაიჯანელებში და 44-სხვა ეთნიკურ ჯგუფებში, გარდა ეთნიკურად სომეხი მოსწავლეებისა.



*გრაფიკი შედგენილია: Georgia: Education Fact Sheets |2020 Analyses for learning and equity using MICS data-მონაცემებზე დაფუძნებით

საშუალო სკოლის დასრულების მაჩვენებელი

- სკოლის დასრულების მაჩვენებელი 76%-ს შეადგენს თბილისში, ხოლო, მაგალითად, კახეთის რეგიონში - მხოლოდ 42%-ს, გურიის რეგიონში - 47%-ს და ა.შ.
- თვალსაჩინოა, რომ სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელიც, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული სკოლის დასრულების დაბალ მაჩვენებელთან, განპირობებულია მოსწავლის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, მისი ტერიტორიული და გეოგრაფიული განსახლებით, ეთნიკური წარმომავლობით.



გრაფიკი შედგენილია: Georgia: Education Fact Sheets |2020 Analyses for learning and equity using MICS data-მონაცემებზე დაფუძნებით: https://www.researchgate.net/publication/347957318_Georgia_Education_Fact_Sheets_2020_ Analyses_for_learning_and_equity_using_MICS_data/citations

USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა
USAID CIVIL SOCIETY ENGAGEMENT PROGRAM

ბიულეტენი მოამზადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი
www.cciir.ge
FB/CCIIR
cciir.info@gmail.com